



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 5 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №296/18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 04 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 12 დეკემბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მომზადდა 2019 წლის 22 თებერვალს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 08 მაისს, მოსამართლე --- -- დააკმაყოფილა შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის უკან გათხოვის თაობაზე. --- -- განცხადებით, მოსამართლეს არ უნდა დაეკმაყოფილებინა საჩივრის უკან გათხოვის შუამდგომლობა ვინაიდან მხარემ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განაცხადა, რომ იგი არ მოქმედებდა საკუთარი ნებით და მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა. საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლე --- -- ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ჩაიდინა ქმედება, რომელიც შეუფერებელია მოსამართლისთვის და ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, --- -- სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით --- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასჯელის სახით და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის ვადით.

2.2. --- -- სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა: --- --, რომლებმაც ითხოვეს --- -- მიმართ გამამართლებელი

განაჩენის დადგენა. -- -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 დეკემბრის განჩინებით, მოსამართლე -- -- დასაშვებად მიიჩნია სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივარი და განსაზღვრა საქმის ზეპირი მოსმენის თარიღი.

სასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 08 მაისის სასამართლო სხდომის 15:06:00 საათზე, მსჯავრდებულმა -- -- მიმართა სასამართლოს და ითხოვა სააპელაციო საჩივრის უკან გახმობა. სასამართლო სხდომის 15:17:05 საათზე, მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ სააპელაციო საჩივრის უკან გახმობის გადაწყვეტილება მას არ მიუღია თავისუფალი ნების საფუძველზე და იგი არის კონკრეტული სისტემის მსხვერპლი. ამასთან, მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ მასზე და მის ოჯახზე მიმდინარეობდა ზეწოლა. სასამართლო სხდომის 15:19:42 საათზე, მოსამართლემ კითხვით მიმართა მსჯავრდებულს და დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა მსჯავრდებული, როდესაც ზეწოლაზე საუბრობდა და ვინ აიძულებდა მას სააპელაციო საჩივრის უკან გახმობას. აღნიშნულზე მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ მას აიძულებდა მის გარშემო შექმნილი გარემოებები, რომელიც სასამართლოს მოახსენა.

ამავე სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მოუსმინა სახელმწიფო ბრალმძებელს, რომელმაც სასამართლოს მოახსენა, რომ არაერთხელ იქნა შესწავლილი მსჯავრდებულის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე გენერალური ინსპექციის მიერ, რა დროსაც არ დადასტურდა მსჯავრდებულზე რაიმე ზეწოლის ფაქტი.

აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო სხდომის 15:27:27 საათზე, მსჯავრდებულმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ზეწოლაზე საუბრისას იგი გულისხმობდა იმ პროცედურებს რომლებსაც ახორციელებდა პროკურატურა და სასამართლო, ხოლო სხვა რაიმე სახის ზეწოლა მასზე არ მომხდარა. სასამართლო სხდომის 15:27 საათზე მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის უკან გახმობის თაობაზე და საჩივარი დატოვა განუხილველად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 თებერვლის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის მე-8 ნაწილზე რომლის თანახმად, აპელანტს უფლება აქვს,

შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ცალსახად დადასტურდა, რომ აპელანტმა ისარგებლა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და უკან გაიხმო სააპელაციო საჩივარი, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და საქართველოს საქართველოს სსსკ 295-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განუხილველად დატოვა აპელანტის სააპელაციო საჩივარი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის მიმართ შესაძლო ზეწოლის შესაძლო განხორციელებასთან დაკავშირებით, მოსამართლე -- -- დამატებით მოისმინა ინფორმაცია როგორც თავად მსჯავრდებულისგან, ასევე პროკურორისგან, თუმცა მსჯავრდებულზე კონკრეტული ზეწოლის ფაქტი არც ერთმა მხარემ არ დაადასტურა. მათ შორის თავად -- -- განმარტა, რომ ზეწოლაზე საუბრისას იგი გულსხმობდა იმ პროცედურებს რომლებსაც ახორციელებდა პროკურატურა და სასამართლო.

ამდენად, მოსამართლე -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ეჭვი შეეტანა აპელანტის ნების თავისუფლებაში და შეეზღუდა იგი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. სასამართლოს განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური

სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 თებერვლის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 04 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 04 დეკემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი